ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 15---

27 იანვარი
"---"---------- 2015 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, ტ. გრანელის ქუჩა №7-ში მდებარე 2563 მ² მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1643,83 მ² საერთო ფართობით შენობა-ნაგებობა №1-ის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, ვადიანი, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულმა შპს „თბილსერვის ჯგუფმა" 2015 წლის 14 იანვარის №2/79 (რეგისტრ. №08/279-8) და 16/01/2015 წლის №2/115 (რეგისტრ. №QN1279533) წერილებით მომართა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას და ითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში, ტ. გრანელის ქუჩა №7-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.16.06.018.012) 2563 მ² მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1643,83 მ² საერთო ფართობით შენობა-ნაგებობა №1-ის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, 10 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ე" და „ე.თ"ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-6 პუნქტის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22/12/2014 წლის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, ქ. თბილისში, ტ. გრანელის ქუჩა №7-ში მდებარე (საკადასტრო კოდი 01.16.06.018.012) 2563 მ² მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 1643,83 მ² საერთო ფართობით შენობა-ნაგებობა №1-ის შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" (ს/ნ 206267494) პირდაპირი განკარგვის წესით, 10 (ათი) წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე.

2. განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი